საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების სამართლებრივი ბუნება, როგორც დოკუმენტური აკრედიტივის წარმოშობის საფუძველი

გიორგი ამილახვარი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ვაჭრობა, სავაჭრო გარიგება, სამართლებრივი რეგულირება

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში წარმოუდგენელია ნებისმიერი ქვეყნის არსებობა და მისი ეკონომიკური განვითარება სხვა სახელმწიფოებთან თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების დამყარების გარეშე. მსოფლიო ქვეყნების ისტორიამ და არსებულმა თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების პრაქტიკამ ნათლად დაადასტურა, რომ დამოუკიდებლად, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გარეშე, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განავითაროს თავისი ეკონომიკა. უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ფულადი ნიშნების შემოღებამდე, სახელმწიფოებს შორის არსებობდა საქონლის გაცვლითი ურთიერთობები, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ვაჭრობაში ფულადი ანგარიშსწორების დამკვიდრებით. თავდაპირველად ჩამოყალიბდა მეზობელი ქვეყნების მონაწილეობით შიდაკონტინენტური ბაზრები, რომლებიც საზღვაო, სამდინარო, სარკინიგზო და შემდგომ

საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების აღორძინებასთან ერთად გაფართოვდა და საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები კონტინენტთაშორისი გახდა.[1]

ისტორიული მასალებით დადგენილია ბრინჯაოს ხანიდან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების დამყარება სხვა სახელმწიფოებთან, რომელსაც ხელს უწყობდა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების დიდი მარაგების არსებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ტანსაცმლის ქსოვილების დამზადება, მესაქონლეობის განვითარება და სხვა ნაკეთობების საქონლის დამზადება.[2] ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნეში გაიხსნა ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალი, დიდი აბრეშუმის გზად წოდებული, რომლის მეშვეობით ჩინეთიდან და ინდოეთიდან აბრეშუმის და სხვა მოხმარების საქონელი შეჰქონდათ რომის (შემდეგ ბიზანტიის) იმპერიასა და სხვა ქვეყნებში.

უძველესი დროის საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ცნობები აღწერილია ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, სტრაბონის, უცხოელი მოგზაურების: მარკო პოლოს, არქანჯელო ლამბერტის, ალექსანდრე დიუმას, კრისტოფორო კასტელის, ქართველი გეოგრაფის და ისტორიკოსის, ვახუშტი ბატონიშვილის, აკადემიკოსების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პაატა გუგუშვილის და სხვათა ნაშრომებში.[3]

ძველ ქართულ სამართალსა და ისტორიულ წყაროებში გარიგების ცნება ფართო მნიშვნელობით იყო გამოყენებული.[4] მე-14 საუკუნის ქართული სამართლის ძეგლი სახელწოდებით – ხელმწიფის კარის გარიგება – აწესრიგებდა დარბაზობის წესს, სახელმწიფოს მოხელეთა უფლება-მოვალეობებს. ტერმინი გარიგება გამოყენებულია სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. სიტყვა გარიგება არის გერმანული წარმოშობის „Rexsgeschapt"– სამართლებრივი საქმე, რომელიც პირველად გამოიყენეს 1794 წელს გამოცემულ წიგნში-მთელი დღევანდელი ცივილური სამართლის სისტემა. მხითარ გოშას სამართლის 241-ე მუხლში, სიტყვა გარიგება ნასყიდობის ცნებას ასახავს, სომხური სამართლის მე-40 მუხლში სიტყვა გარიგება განსაზღვრავს ანდერძის საკითხებს. მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი „დასტურლამალი" დასტურს, გარიგებას ნიშნავს, თუ როგორ უნდა მოქმედებდნენ დარბაზის ხელისუფალნი და რიგოსანი „სახელითა თვსთა".[5]

დღეისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-114-ე მუხლებით ტერმინი გარიგება ფართო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად არის გამოყენებული, რომლის უმთავრესი მნიშვნელობა გამოიხატება ნების გამოვლენაში. დადგენილია ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ცნება, ვალდებულებითი (ქონებრივი, საავტორო, საოჯახო, მემკვიდრეობის და სხვა გარიგების ფორმის სახეები) გარიგებები. დაუშვებელი კანონსაწინააღმდეგო გარიგებები, მოჩვენებით, შეცდომით დადებული გარიგებები, ბათილი გარიგებების სახეები და გარიგებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.[6]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარ-

1 ჯოლია გ., 2008. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი გვ. 14.

2 ჯავახიშვილი ი., 1966. ქართველი ერის ისტორია. წიგნი III. გამომცემლობა საქართველო. თბილისი, გვ. 458.

3 ლ. ყორღანაშვილი. 1998. საერთაშორისო ბიზნესი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 120.

4 ჭანტურია ლ. 1997. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომცემლობა სამართალი, თბილისი. გვ. 308.

5 ჯავახიშვილი ი. 1982. თხზულებანი, ქართული სამართლის ისტორია. ტ. VI. გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, გვ. 68.

6 ჭანტურია ლ., 2011. საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა სამართალი, თბილისი, გვ. 290

მოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. საერთაშორისო ვაჭრობაში გარიგება შესაძლებელია განხორციელდეს ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენით. ორმხრივი გარიგების დროს მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან კონკრეტული საქონლის რაოდენობისა და ღირებულების ყიდვა-გაყიდვაზე. ორმხრივი გარიგება პრაქტიკულად შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მცირე მოცულობის საქონელზე. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები ხორციელდება მრავალმხრივი შეთანხმებებით.[7] მყიდველთან და გამყიდველთან ერთად მასში მონაწილეობას იღებენ როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, საბანკო ინსტიტუტები ფინანსური ანგარიშსწორების, მათ შორის აკრედიტივის ფორმის გამოყენებით, ასევე გადამზიდავი კომპანიები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები-საგადასახადო-საბაჟო, სასაზღვრო სამსახურები, ფიტო და ვეტერინალური დაწესებულებები და სხვადასხვა ნებართვისა და ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო სტრუქტურები.

კერძო საერთაშორისო სამართლის მეცნიერთა ნაწილი, აგრეთვე, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ცნებას მიაკუთვნებენ მონაწილე მხარეთა ქვეყნების მოქალაქეობას, საცხოვრებელ ადგილს და საქონლის დამამზადებელი საწარმოების რეგისტრაციას (რეზიდენტობას) მოცემულ სახელმწიფოში,[8] რაც არასწორად მიგვაჩნია.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §104-144 ფართოდ განსაზღვრავს და აწესრიგებს ნების გამოვლენის სხვადასხვა კერძო სამართლებრივ მრავალმხრივ ურთიერთობებს, დადებული არასრულწლოვანი ქმედუუნარო და სრულწლოვანი პირის მიერ ფართო მიმართულებით.[9] მათ შორის დადებული კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით არასრულწლოვანის მიერ სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებლად, სასამსახურო ან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებისას და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ფართო საკითხებზე ქმედუნარიანი პირის მიერ.

საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები აშშ-ში ასევე რეგულირდება 1979 წელს მიღებული კანონით ექსპორტის მართვის შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნებში კორუფციის შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების სუვერენულ იმუნიტეტზე და სხვა საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე.[10]

ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე მიღებულია და მოქმედებს შემდეგი ძირითადი კანონები: **1)** 1930 წ. მიღებულია კანონი – ტარიფების შესახებ, რომელიც შემუშავებული იყო სმუტისა და ხოლის მიერ. კანონით დაწესებული დიდი სატარიფო ბარიერები დღეს შემცირებულია, მოქმედებაშია უცვლელად კანონის ბევრი ნორმა. **2)** 1970 წელს მიიღეს ერთიანი სავაჭრო კოდექსი, რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადებაზე, სხვა ქვეყნებში აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობის დაწესება, კონგრესისა და პრეზიდენტის ურთიერთთანამშრომლობა ვაჭრობის საკითხებზე. **3)** 1979 წელს მიღებული კანონი – სავაჭრო შეთანხმებების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება ტოკიოს რაუნდზე GATT-ის მიერ მიღებული კოდექსების ნორმების ქვეყანაში დაცვის მიმართულებები, 1930 წელს მიღებული ტარიფის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა იმპორტის ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით. **4)** 1984 წ. მიღებული კანონი – ვაჭრობისა და ტარიფის შესახებ, რომლითაც ცვლილებები შევიდა ვაჭრობასთან დაკავშირებით მიღებულ კანონში და განისაზღვრა ისრაელის

7 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. 2002. რედ., ჭანტურია ლ., თბილისი, გვ. 563.

8 Канашевский В., 2005. Внешние экономические сделки. Правовое регулирование. Москва, издательство – «международные отношеня», С. 17.

9 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 2010. (BGB), თარგმანი ზ.ჭეჭელაშვილის გამომცემლობა – სიესტა. თბილისი გვ. 98.

10 Folsom H., Gordon, W., & Panogle, A., 1992. International Business. St. Paul, Minn. Westpublishing.Co. P. 217.

სახელმწიფოსთან სავაჭრო ხელშეკრულების შემუშავების საკითხი. **5)** 1988 წელს მიიღეს კანონი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოვალეობა GATT-ის ურუგვაის რაუნდზე.

აშშ-ს შტატებში აგრეთვე მიღებულია და მოქმედებს საკუთარი სამოქალაქო კოდექსები. კალიფორნიის შტატში დღეისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი მიღებულია 1873 წელს. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების მარეგულირებელ ჩამოთვლილ საკანონმდებლო აქტებთან ერთად სამოქალაქო კოდექსებით რეგულირდება გარიგებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. კალიფორნიის შტატის სამოქალაქო კოდექსის §39-112 ითვალისწინებს ნებისმიერი გარიგების შეწყვეტას, რომელიც დადებულია ქმედუუნარო ან არასრულწლოვანი პირის მიერ. §1227-1230 ითვალისწინებს მოტყუებით დადებული გარიგებების გაუქმებასა და მის ბათილობას.[11]

საფრანგეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო კოდექსის თანახმად ნებისმიერი გარიგება, მათ შორის საერთაშორისო, ხორციელდება ქმედუნარიანი (18 წლის ასაკიდან) პირის მიერ. 1582 მუხლის თანახმად საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომლის დროს ერთი მხარე ყიდის კუთვნილ საქონელს და მეორე მხარე იხდის დადგენილ და შეთანხმებულ ღირებულებას.[12]

პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 217-ე მუხლით განსაზღვრულია ნების თავისუფლება და მათი გამოვლენა გარიგების განხორციელების დროს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, წერილობითი, სანოტარო დამოწმებით ან სხვა ფორმებით. კოდექსის 280-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ბათილი, თუ ის დადებული არის კანონმდებლობის დარღვევით, არ შეესაბამება საზოგადოებრივ ტრადიციებსა და დამკვიდრებულ წესჩვევებს. გარიგების განხორციელებისას მხარეები ვალდებულნი არიან, სრულად შეასრულონ აღებული ვალდებულებები. კოდექსით დადგენილია საქონლის ყიდვა-გაყიდვის ცნება, მათი შედეგი, საქონლის გადაცემის და ღირებულების გადახდის ვალდებულებები.[13]

საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად რეგულირდება ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია 1980 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „UNCITRAL"-ის სამართლის კომისიის მიერ მიღებული ვენის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ – CISG, რომლის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელი პირობების საფუძველზე არის სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებისათვის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.[14] ვენის 1980 წლის მითითებულ კონვენციასთან ერთად საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები რეგულირდება, ასევე, სხვა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. 1966 წელს გაეროს ასამბლეის მიერ საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, შეიქმნა საერთაშორისო სავაჭრო კომისია, – UNCITRAL (United Nations Commission on International Trade Law).[15] რომლის მთავარ ამოცანად დაისახა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა. 1955 წელს

11 Гражданский кодекс штата Калифорния. www.twirpx.com/file/409022

12 Гражданский кодекс франции. 1997. Издателство-юридическая литература. www.twirpx.com/file/409022

13 Гражданский кодекс Португалий. www.twirpx.com/file/409022

14 1980 წლის ვენის კონვენცია – საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 თებერვლის პარლამენტის დადგენილებით) კომპიუტერული პროგრამა -კოდექსი, შემდგენელი მაისურაძე ა.

15 ალექსიძე ლ., 2001. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, გვ. 98.

მიღებული იქნა ჰააგის კონვენცია – მოძრავი მატერიალური ნივთების საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ. 1988 წელს მიღებულია კონვენცია – საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ. 1974 წელს ნიუ-იორკში მიღებულ იქნა ასევე კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისას სარჩელის ხანდაზმულობის ვადის შესახებ. 1983 წელს მიღებული იქნა ჟენევის კონვენცია – საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვაში წარმომადგენლობის შესახებ. 1986 წელს აგრეთვე მიღებულია შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ. 1994 წელს მიღებული იქნა შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ და სხვა.

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივ რეგულირებაში, მის განვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნების ერთგვაროვან მიდგომაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციას – ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (United Nations Conference on Trade and Development) (UNCTAD), რომლის პირველ სესიაზე 1964 წელს განხილული იქნა საკითხი საქონლის საერთაშორისო ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის გამოყენების შესახებ. ამ სესიაზე მიღებული იქნა აგრეთვე დოკუმენტი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისა და სავაჭრო პოლიტიკის განვითარების პრინციპების შესახებ, რომლის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობა უნდა განვითარდეს ეროვნული ურთიერთხელსაყრელი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით და თავისუფალი უნდა იყოს ისეთი ღონისძიებებისაგან, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვა ერს.

გარდა გაეროს ამ სპეციალიზებული ორგანოებისა „UNCITRAL"-ის და „UNCTAD"-სა საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივ რეგულირებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვა ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორებიცაა: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, 1955 წლის ჰაააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა (მდებარეობს პარიზში), კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT) (განთავსებულია რომში) რომლის მიერ 2010 წელს მიღებულია საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები რეგულირდება, ასევე, სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმებით.

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სპეციალისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამართლის ეს დარგი აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამართლებრივი სტატუსი, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საერთაშორისო გარიგების ყიდვა-გაყიდვა, საერთაშორისო ფულად-საკრედიტო, საკუთრების მარეგულირებელი, გადაზიდვა, დაზღვევა, სავაჭრო არბიტრაჟის და სხვა საკითხები. სპეციალისტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის წყაროდ მიჩნეულია მხოლოდ ამ სფეროს მარეგულირებელი კონვენციები და ტიპური კანონები, რომლებიც ,ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, საერთაშორისო დონეზეა შემუშავებული და მიღებული, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებული ჩვეულებები.[16]

საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ცნება. კერძო სამართლის ქართველი სპეციალისტების მიერ ლ. ჭანტურია, ზ. ახვლედიანი, ზ. გაბისონია, ს. გამყრელიძე, თ. ზამბახიძე, ბ. ზოიძე, დ. კერესელიძე, თ. ლილუაშვილი, რ. შენგელია, ზ. ძლიერიშვილი და სხვების მიერ განხილულია საერთაშორისო გარიგებების როგორც სამოქალაქო სამართლებრივი, ასევე კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული საკითხები.

ძირითადად ქართველი და უცხოელი

16 ჭანტურია ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა სამართალი, თბილისი, გვ. 290.

კერძო სამართლის სპეციალისტების მიერ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ცნება განისაზღვრება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: საქონლის გატანით სხვა ქვეყანაში ან შემოტანით, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებით, ფიზიკური ან იურიდიული პირების არსებობით სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე კომერციული საწარმოებისა და ორგანიზაციების არსებობის ადგილის მიხედვით. საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალისტთა უმრავლესობის მიერ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებად ითვლება:

- სახელმწიფო საზღვარზე (საბაჟო საზღვარზე და სახელმწიფო საბაჟო ტერიტორიაზე) საქონლის გადაადგილება, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად რეგულირდება ეროვნული საბაჟო (საგადასახადო) კანონმდებლობით. აღნიშნულთან ერთად საერთაშორისო სავაჭრო გარიგებად არ ჩაითვლება ერთ ქვეყანაში უცხოური კომპანიის ან სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ ქვეყნის შიგნით განხორციელებული სავაჭრო გარიგება;
- სავაჭრო გარიგება საერთაშორისოდ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის პირები და საქონელი დამზადებულია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე;
- საერთაშორისო სავაჭრო გარიგების განსახორციელებლად ხშირ შემთხვევაში ფინანსური ანგარიშსწორება ხორციელდება უცხოური ვალუტით. გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებს შორის განხორციელებული საერთაშორისო სავაჭრო გარიგება, რომლის დროს გამოიყენება ევრო.[17]

ბოლო წლებში საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ინტენსიური ზრდა დაარჩქარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეროვნული საგარეო-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებამ. განხორციელდა სამართლებრივი, ადმინისტრაციული, ორგანიზაციულ-ტექნიკური წესებისა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სავაჭრო გარიგების პრაქტიკის თავისებურებების უნიფიკაცია და სამართლებრივი მოწესრიგება დღევანდელი პირობებისა და არსებული ვითარების გათვალისწინებით.[18] ყოველივე აღნიშნულმა საფუძველი შეუქმნა ერთიანი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას.[19] დღეისათვის, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია მსოფლიო ეკონომიკა, რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომისა და პროდუქციის წარმოების საერთაშორისო გადანაწილება.[20]

საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშსწორების უზრუნველყოფა შეთანხმებულ დროში და სრული მოცულობით. სავაჭრო გარიგებებში მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და, შესაბამისად, როგორც ექსპორტიორის, ისე საქონლის იმპორტიორის უფლებების დაცვა გარანტირებულია დოკუმენტური აკრედიტივით ანაგარიშსწორებით.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ 2006 წელს მიღებული იქნა დღეისათვის მოქმედი „უნიფიცირებული წესები და ჩვეულებანი დოკუმენტური აკრედიტივის შესახებ“ (ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან). საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ გარიგებებში ანგარიშსწორების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს აკრედიტივი, რომელიც არის აკრედიტივის გამხსნელი ბანკის ვალდებულება კრედიტის ანუ აკრედიტივის დავალების მიმღების თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტების საფუძველზე გადაუხადოს მესამე პირს ,ანუ რემიტენტს, ფულადი თანხა იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს შორის მიღწეული შეთანხმების პირობებით.

17 Покровский И., 1998. Основные проблемы гражданского права. Издательство международные отнашения, М. Стр 24.

18 Delaume G., 1988. Lawand Practiceof Transnational Contracts oceana Publications, NEW YORK. p 120.

19 ამილახვარი ზ., 2003. ბიზნესის სამართლის საფუძვლები. გამომცემლობა ინოვაცია. თბილისი გვ. 5.

20 ჯოლია გ., 2008. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო. გამომცემლობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, გვ.130.

აკრედიტივი არის უძველესი ინსტიტუტი, რომელიც, მიუხედავად მრავალწლიანი ისტორიისა, დარჩა გამოყენებაში მისი საიმედოობის, ხელმისაწვდომობისა და ეკონომიურობის ფორმებით. ზოგადი ცნებით, აკრედიტივი არის ნდობის წერილი (მოწმობა), რომელიც გაიცემა ბანკის მიერ და რომლის წარმდგენი კრედიტს იღებს მითითებულ სხვა ბანკში. საერთაშორისო აკრედიტივით ანგარიშსწორებაში მონაწილეობას იღებს ორი ან მეტი სხვადასხვა ბანკი, რომლებიც ფუნქციონირებს სხვადასხვა ქვეყანაში. აკრედიტივი გარანტიას იძლევა თანხის არა მარტო გადახდაზე, არამედ ანგარიშსწორების განხორციელებაზე შეთანხმებულ ვადაში. ფართო გაგებით აკრედიტივით ხორციელდება თანხის გადარიცხვა, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე ბანკი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საკორესპონდენტო ანგარიშსწორებით.

დღეისათვის საქონლის საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება აკრედიტივით ანგარიშსწორება, რომლის დროს საქონლის მყიდველი (იმპორტიორი) წერილობითი ფორმით დავალებას აძლევს თავის მომსახურე ბანკს, გადარიცხოს გამყიდველისათვის (ექსპორტიორი) შეთანხმებული თანხა აკრედიტივით დადგენილი პირობების დაცვით.[21] სასაქონლო აკრედიტივის ოპერაციის დროს ბანკი აძლევს დავალებას თავის საკორესპონდენტო ბანკს, გამყიდველის მიერ საქონლის გადაზიდვის დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ გადაუხადოს მას მხარეთა ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა იმპორტიორის საკორესპონდენტო ანგარიშიდან.

საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში აკრედიტივით ანგარიშსწორებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ექსპორტიორისათვის ნათელი ხდება იმპორტიორის ფინანსური მდგომარეობა და სავაჭრო ურთიერთობებში მისი კეთილსინდისიერება, ამავე დროს ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ბანკების მიერ. ყოველივე აღნიშნული დადებითად მოქმედებს საქონლის ექსპორტის ზრდაზე. ექსპორტიორისთვის უარყოფით მხარეს წარმოადგენს საბანკო მომსახურების შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი და დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენის დროს გადაუხდელობის გარკვეული რისკი. იმპორტიორი გარანტირებულია საქონლის შეთანხმებული რაოდენობით და დადგენილ დროში მიწოდებაში. უარყოფით მხარეს წარმოადგენს საქონლის ხარისხის კონტროლის შეუძლებლობა მისი გაგზავნის მომენტში და ასევე მომსახურების შედარებით დიდი საბანკო ხარჯები.

აკრედიტივით ანგარიშსწორება დაკავშირებულია რამდენიმე სამართლებრივ გარიგებასთან, მათ შორისაა მრავალმხრივი შეთანხმება (ხელშეკრულება) ექსპორტიორს (ბენეფიციარს) და იმპორტიორს (აპლიკანტს) შორის ყიდვა – გაყიდვებზე, გადაზიდვებზე, დაზღვევაზე და სხვა ოპერაციებზე, ასევე იმპორტიორის ბანკ-ემიტენტსა და სავიზო ბანკს შორის,[22] ამასთან ძირითად მხარედ ითვლება საქონლის ექსპორტიორი და იმპორტიორი, რომელთა თანხმობით, მითითება – ბრძანებით ბანკები ახორციელებენ აკრედიტივით ანგარიშსწორებას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ბოლო 20 წლის (1995 წლიდან) განმავლობაში საქართველოში ექსპორტი 155,2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებიდან გაიზარდა 2 მილიარდ 861,2 მილიონი დოლარის ღირებულებამდე, ანუ თითქმის 19-ჯერ. იმპორტის მოცულობა 488,7 მილიონი ამერიკული დოლარიდან გაიზარდა 8 მილიარდ 596,3 მილიონ აშშ დოლარამდე, ფაქტობრივად, თითქმის 18-ჯერ.

მსოფლიოს სახელმწიფოები ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, განსაკუთრებით ბოლო სამი ასწლეულის განმავლობაში, იღებდნენ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების

21 Cook A., 1923. Financing Export and Import. p. 32.

22 Комментарий законодательства и арбитражная практика. 2000 . Издательство – инфра. М. Стр. 196.

მარეგულირებელ სხვადასხვა შემზღუდავ გადაწყვეტილებას.[23] აღნიშნულ შეზღუდვებს იმპორტზე მსოფლიოს სახელმწიფოები ძირითადად მიმართავდნენ XVI-XVII საუკუნეებში, რომელიც ცნობილია მერკანტილიზმის (ფრანგულად: mercantilisme – მერკანტილიზმი, იტალიურად: mercante – ვაჭარი, ლათინურად: mercanti – ვაჭრობა) ეპოქად.[24] საქონლის ექსპორტის ხელშეწყობით ხდებოდა იმპორტის შეზღუდვა. ასეთმა მიდგომამ და გადაწყვეტილებებმა ადგილი დაუთმო ფრიტრედერობას და ფიზიოკრატიზმს, რომელთა მიხედვით, ითვლება, რომ უმჯობესია სახელმწიფოებმა დაუშვან საერთაშორისო ვაჭრობის სრული თავისუფლება, გააუქმონ ყველა შეზღუდვა, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების განხორციელებას.[25]

შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლად, 1776 წელს თავის ნაშრომში – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრისა, ბუნებისა და მიზეზების შესახებ“[26] – მიუთითა, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში მერკანტილიზმი, პროტექციონიზმი ასუსტებს ეკონომიკას, რადგან არ არსებობს თავისუფალი ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვის საქონლის გაცვლის პროცესი.

მე-19 საუკუნის დასაწყისში დავით რიკარდო ინგლისელ მემამულეებს მოუწოდებდა, ხელი შეეწყოთ ქვეყნებს შორის თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის, რომლის მონაწილე ორივე მხარე მიიღებდა გარკვეულ სარგებელს. მერკანტილიზმის მიმდევრები კი თვლიდნენ, რომ საქონლის იმპორტზე უნდა დაწესებულიყო მაღალი გადასახადები და შემოღებული ყოფილიყო სხვადასხვა აკრძალვა და შეზღუდვა, რომლებიც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გაზრდას და შეამცირებდა ქვეყნიდან ფულის (ოქრო, ვერცხლი) გადინებას.[27]

ცნობილია ასევე შვედი ეკონომისტების ელი ჰექშერისა და ბერტონ ოლინის თეორიები (მე-19, მე-20 საუკუნე), რომლებიც თვლიდნენ, რომ ქვეყნიდან უნდა განხორციელდეს იმ საქონლის ექსპორტი, რომელთა დასამზადებლად გამოიყენება შედარებით იაფი შრომითი რესურსი და მათ დასამზადებლად ამ სახელმწიფოში არსებობს შედარებით ჭარბი ფინანსური კაპიტალი. შემუშავებულია ასევე რიბჩინსკის თეორემა, პორტეჩის კონკურენციის თეორია, სამუელსონ-სტოლპერის კონცეფცია, ლეონტიევის პარადოქსი, კრუგმანის ახალი თეორია (მასშტაბის ეფექტის თეორია), ვერჩინორის სასიცოცხლო ციკლის თეორია, და სხვა, რომელთა თანახმად ,უნდა განხორციელდეს საქონლის ექსპორტ-იმპორტზე სხვადასხვა სახის შეზღუდვები და/ან სახელმწიფოს მხრიდან მიღებული იქნეს წახალისებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები.[28]

მიუხედავად დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისა, შეიქმნა პირობები და ქვეყნის ბუნებრივი, ეკოლოგიური, ისტორიულ-კულტურული ღონისძიებების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარება. დღეისათვის საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული ბევრ ქვეყანასთან, მათ შორის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორები არიან: აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, უკრაინა, აშშ, კანადა, ბულგარეთი, გერმანია, რუმინეთი, რუსეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ინდოეთი, იორდანია და სხვა სახელმწიფოები.აღნიშნულთან ერთად საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების განსახორციელებლად შეიქმნა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან

23 წყარო: http:www.geostat.ge

24 ლინდერტი პ., 2011. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა-სიახლე. თბილისი, გვ.65.

25 ლინდერტი პ., 2011. საერთაშორისო ეკონომიკა თბ. გამომცემლობა სიახლე, თბილისი, გვ.12.

26 Griffin R., Pusty M., 2006. International Business. Upper Saddle River, New Jersey, P. 167.

27 Стровский А., 1999. Внешнеэкономическая деятеьность предприятия. издательство-прогресс, М. Стр. 58.

28 მესხია ი., 2011. საერთაშორისო ვაჭრობა. გამომცემლობა თსუ. თბილისი გვ. 40.

შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი ბაზა, საქართველომ აღიარა და მიუერთდა მრავალ საერთაშორისო კონვენციას და შეთანხმებას, რომლებითაც რეგულირდება სხვა ქვეყნებთან სავაჭრო გარიგებები.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან-ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.[29] შეთანხმების თანახმად, საქართველოს უფლება მიეცა, 2014 წლის 1 სექტემბრიდან განახორციელოს თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობების რიგი მიმართულებები. ევროკავშირის სახელმწიფოში ჩამოყალიბებულია საბაჟო კავშირი და ტარდება ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა. შექმნილია ასევე ერთიანი შიდა ბაზარი. შემოღებულია ერთიანი საგარეო ტარიფები იმპორტირებულ საქონელზე. ცალკეული მიმართულებით ტარდება პროტექციონისტული პოლიტიკა შიდა ბაზრის დასაცავად.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ივარაუდება ექსპორტის გაზრდა დაახლოებით 12%-ით და მთლიანი შიდა პროდუქტის 4,3%-მდე. პირველ რიგში, გაიზრდება ქართული ღვინისა და სხვა საქონლის ექსპორტი. ამასთანავე, განხორციელდება ქვეყანაში ინვესტიციები და დახმარება. 2014 წელს მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩადებული იქნა 14 მილიონი ევრო. ყოველი აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების გაზრდას და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე 1994 წელს ევროკავშირის ქვეყნების მიერ მიღებული ხელშეკრულება-ენერგეტიკული ქარტიის შესახებ, რომლითაც გაღრმავდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. საქართველო აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილე გახდა 1995 წელს. შემუშავდა ერთიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა. დაგეგმილია, შეიქმნას პან-ევროპული ენერგეტიკული გაერთიანება (pan-European energy community).[30]

საქართველოს გეოპოლიტიკური, ეკოლოგიური და ბუნებრივ-რესურსული მდგომარეობა საშუალებას იძლევა, განვითარდეს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი წარმოება, მკვეთრად გაიზარდოს ელექტროენერგიის გამომუშავება. საქართველოს გააჩნია ბუნებრივი წიაღისეულის გარკვეული მარაგი. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობს წიაღისეულის 70-ზე მეტი სახეობა 450-ზე მეტ საბადოში. მათ შორისაა სათბობ-ენერგეტიკული დარგის განვითარებისათვის ტყიბულ-შაორის, სამხრეთ საქართველოს (ახალციხის მახლობლად) საბადოები, რომელთა საერთო მარაგი 420 მილიონ ტონას აღწევს. ნავთობის საბადოები განლაგებულია სამგორ-პატარძეულში, მირზაანში, შირაქის და ელდარის ველზე. მიმდინარეობს მუშაობა ქართლის, გურიის, კახეთის და სხვა ტერიტორიებზე. მეცნიერთა გაანგარიშებით, მათი პოტენციური მარაგი 340 მილიონ ტონას აღემატება. სპეციალისტთა ვარაუდით, შავი ზღვის აჭარის სანაპიროზე არსებობს ბუნებრივი აირის საკმაო რაოდენობა, რომლის მოძიებაზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

საქართველოს გააჩნია შავი მეტალურგიის განვითარებისათვის მანგანუმის, რკინის საბადოები, აგრეთვე ოქროს, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, მოსაპირკეთებელი ქვების, ცემენტის წარმოებისა და სხვა სამშენებლო მასალების მარაგი. ქვეყანა მდიდარია თერმული და გეოთერმული წყლებითა და აგრეთვე მინერალური წყლებით, რომელთა 200-ზე მეტი წყარო 130 მილიონ ლიტრზე მეტს იძლევა დღე-ღამეში.

საქართველოს მიწის საერთო ტერიტორია 7,3 მილიონი ჰექტარია, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულია 3 მილიონ ჰექტარზე მეტი, ტყით დაფარულია 2,7 მილიონი ჰექტარი. მსოფლიო ქვეყნებს შორის საქართველო ფლობს მიწისზედა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების უდიდეს

29 Web page: http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement.2013

30 Reducing European Dependence on Russian Gas, Oxford Institute for Energy studies, OlesNG 92, October 2014.

მარაგს. მდინარეთა რაოდენობა აღწევს 26 ათასს, არის 350 ტბა. ქვეყანას გააჩნია ჰიდროენერგეტიკული რესურსების დიდი მარაგი. მეცნიერთა გათვლებით, შეიძლება გამომუშავებული იყოს 60 მილიარდი კილოვატ საათი ელექტროენერგია, დღეისათვის კი გამომუშავდება მხოლოდ ამ მაჩვენებლის 15%, რაზედაც ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახალი ელექტროსადგურებისა და ასევე ნახშირის რესურსების გამოყენებით თბოსადგურების ასაშენებლად.[31]

ბოლო წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთისა და სხვა ქვეყნების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიდი აბრეშუმის გზის სრულყოფას და მის განვითარებას. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ასევე ტერიტორიის გამოყენებით საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის მილსადენებით.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ასრულებს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის როლს. საქართველო-ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკას პროექტი-TRACECA-Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) მონაწილე ქვეყანაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან პროექტს განეკუთვნება.[32]

საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ აგრეთვე განაპირობა ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი ჰარმონიზებული სატარიფო სისტემისა და სამართლებრივი ბაზის შექმნა. „ტრასეკას“ პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სატრანზიტო სისტემის განვითარებას და მისი ინფრასტრუქტურის სრულყოფას. გერმანელი სპეციალისტების მიერ დამუშავდა „ტრასეკას“ რეგიონული პროექტი „საქართველო-აზერბაიჯანის სარკინიგზო ინფრასტრუქტურული სრულყოფა“. აგრეთვე, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის საკონტეინერო გადაზიდვის ახალი ტექნოლოგია – „ლოგისტიკური ექსპრესი ფოთი-ბაქო-ფოთი და ფოთი-ერევანი-ფოთი“, რომელიც დღეისათვის ექსპლუატაციაშია.[33]

აღნიშნულთან ერთად საქართველოში მიმდინარეობს საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვების სისტემის სრულყოფა. უცხოური ინვესტიციებით ხორციელდება ახალი აეროპორტების, ავტობანებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ძველი ტრანსპორტი იცვლება თანამედროვე, მაღალი სიჩქარის, კომფორტული და საიმედო სატრანსპორტო საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას.

გარდა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა, ხელსაყრელი პირობებია შექმნილი მილსადენი ტრანსპორტით ნავთობისა და ბუნებრივი აირის გადასაზიდად. 1999 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს და აზერბაიჯანის შირაქის ნავთობი მიეწოდება საერთაშორისო ბაზარს საქართველოს გავლით ბაქო-სუფსის ნავთობსადენით. 2006 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლითაც შესაძლებელი ხდება აზერბაიჯანის, შირაქისა და გუნეშლის ნავთობის გატანა ხმელთაშუაზღვისპირეთის პორტ ჯეიჰანამდე, რომლითაც დღეში ტარდება 1 მილიონ ბარელამდე ნავთობი და მისი გაზრდა ამ მილსადენის გამოყენებით შეიძლება 1,8 მილიონ ბარელამდე. 2006 წლიდან მუშაობს თბილისი-ერზრუმის სატრანზიტო გაზსადენიც, რომლითაც შაჰდენიზის საბადოდან გაზი მიეწოდება თურქეთს. დაგეგმილია აგრეთვე სხვა მილსადენების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. საქართველოს გავლით

31 ჯოლია გ., 2007. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 65.

32 Сергеев В, Григорьев М., Уваров С., 2008 . Логистика– Информационные системы и технологии. Издательство - Альфа– Пресс, стр.32.

33 ყორღანაშვილი ლ., 2003. ოფშორული ბიზნესი. გამომცემლობა თსუ, თბილისი, გვ 138.

ასევე ფუნქციონირებს საბჭოთა პერიოდიდან გაზსადენი, რომლითაც რუსეთიდან სომხეთს მიეწოდება ბუნებრივი აირი.

საქართველოს ბუნებრივი, ეკოლოგიური და კლიმატური პირობები, ქვეყნის ტერიტორიაზე უამრავი უნივერსალური ისტორიული ძეგლის არსებობა, მრავალი სამკურნალო რეკრეაციული რესურსი ყოველგვარ საფუძველს ქმნის მსოფლიო ტურისტულ სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, რისთვისაც აუცილებელია ტურისტული დანიშნულების ადგილების მარკეტინგული საშუალებებით (გამოფენა, რეკლამა და სხვა) პოპულარიზაცია, ტურიზმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, კონკურენტუნარიანი ხარისხითა და ფასებით უზრუნველყოფა. გადასაწყვეტია ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის, გასვლისა და დაყოვნების ლიბერალური წესების დამკვიდრება, სამართლებრივი ბაზის, მათ შორის საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა. საბოლოო ჯამში ტურიზმის განვითარება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რაც თავისთავად გაზრდის ქვეყნის საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების რაოდენობრივ დონეს.

ქმედითი ზომებია მისაღები ქვეყანაში არსებული ბუნებრივი წყლის მდიდარი რესურსების გამოსაყენებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მოზიდული ინვესტიციებით გაფართოვდა ელექტროსადგურების მშენებლობა, დამატებით ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი ჭარბი რაოდენობის ელექტროენერგიის მისაღებად და მათი ექსპორტირებისათვის მსოფლიო ქვეყნების მოთხოვნად ბაზარზე.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შრომითი რესურსები და მათი კვალიფიკაცია თანამედროვე ტექნიკური და სხვა მოთხოვნები. საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის განვითარება პირდაპირ კავშირშია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების დინამიკასთან, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სალდოსთან. ქვეყნის საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის გაზრდა, რომლის ღირებულება თითქმის სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის. მათ შორის ისეთის, როგორებიცაა: ბოსტნეული, მარცვლეული, ტანსაცმელი და ფართო მოხმარების საგნები, რომელთა საწარმოებლად ქვეყანაში არსებობს ყოველგვარი კლიმატური, ეკოლოგიური, სხვა ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსები. ქმედითი ღონისძიებებია აგრეთვე გასატარებელი ქვეყანაში საქონლის იმპორტის შესამცირებლად და საექსპორტო პროდუქციის წარმოების განსავითარებლად, რომლის ღირებულება უნდა გაუტოლდეს იმპორტირებული საქონლის ღირებულებას და მომავალში გადააჭარბოს მას. სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ხელშეწყობასა და დახმარებას საჭიროებს ადგილობრივი საწარმოები, სახელმწიფო დაბალპროცენტიანი კრედიტების დაფინანსებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, აგრეთვე, გარდა ექსპორტირებული პროდუქციის გადასახადებისაგან გათავისუფლებისა (დღგ, აქციზი), გასატარებელია სტიმულირების სხვა ღონისძიებები. საწარმოებში დასანერგია ახალი თანამედროვე ტექნოლოგიები და დასამყარებელია სხვა ქვეყნებთან ახალი სავაჭრო კავშირები. ნებისმიერი საერთაშორისო სავაჭრო გარიგება, მათ შორის საქონლის ყიდვა-გაყიდვა, შეუძლებელია ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო ვაჭრობის გაღრმავების ტენდენციამ თავისთავად ჩაუყარა საფუძველი და მოითხოვა საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების გაფართოება, გაცვლითი რთული სავალუტო პროცესების წარმოება და ანგარიშსწორებით ინტერესების დაცვა აკრედიტივის, ფინანსური ლიზინგისა და სხვა ოპერაციების გამოყენებით.

LEGAL NATURE OF INTERNATIONAL TRADE TRANSACTIONS AS A BASIS FOR THE PAYMENT WITH A LETTER OF CREDIT

Giorgi Amilakhvari

Georgian-American University
School of Law, Social Sciences and Diplomacy
PhD Student

KEY WORDS: Trade, commercial deals, legal regulations

RESUME

In the article there are discussed the meaning of international commercial deals, the history of Georgia's trade relations with neighbor and other countries, that took place since Bronze Age started from the exchange of goods and followed by opening of the Great Silk Road. There are also discussed issues related to the Legal Regulation of International Trade according to the international law norms and national legislation. Comparative analysis is made between the national legislation and the legislations of USA, Germany and France.

Also, it is very important for parties to make an agreement in order to conduct international trade deals with the Payment by a Letter of Credit that will provide the fulfilment of existing obligations.

It should be considered that in many countries the special legislation acts are adopted and enacted regarding the international trade deals, particularly about export and import issues. Acts like those still are not drafted or adopted in Georgia. The main goal of

the government should be the regulation of the misbalance between export and import in the international trade relations. Import should fill up the nonexistent goods according to the demands of the population and export should be used for money income in the state. For these reasons a united trade policy should be developed and arrangements should be made in order to coordinare the activities of the state and private bodies.

In order to increase and fulfil the scales of international trade deals it is recommended to fill the gaps in the Georgian legislation by introducing and adopting new legislative acts.

NOTES:

1. Jolia G., 2008. Inernational Economic Relations of Georgia. Technical University Publishing House, Tbilisi, p.14. (In Georgian)
2. Javakhishvili Iv., 1966. History of Georgia Nation. Book 3. Georgia Publishing Tbilisi, p.458 (In Georgian)
3. Korganashvili L., 1998 International Business. Tbilisi State Publishing, Tbilisi p.120. (In Georgian)
4. Chanturia L., 1997. Introduction to the General Part of the Georgia Civil Law. Samartali Publishing Tbilisi, p. 308. (In Georgian)
5. Javakhishvili Iv., 1982. Essays in Georgia Legal history, Book 6. Metsniereba Publishing Tbislsi, p. 68. (In Georgian)
6. Chanturia L., 2011. General Part of the Georgia Civil Law. Samartali Publishing Tbilisi, p. 290. (In Georgian)
7. Commentary to the Civil Code of Georgia. 2002. Book. 1. Editor L. Chanturia. Tbilisi, p. 563 (In Georgian)
8. Kanashevski V., 2005. Foreign trade transactions. Legal regulation. International Realtion Publishing Moscow, p.17. (In Russian)
9. Civil Code of Germany 2010. (BGB),Translation od Z. Chechelashvili, Publishing House Siesta, Tbilisi, p. 98. (In Georgian)
10. Folsom H., Gordon, W., & Panogle, A. 1992. International Business. St. Paul, Minn. Westpublishing.Co. P. 217. (In English)
11. Civil Code of the State California. (RUS) www.twirpx.com/file/409022 (In English)
12. Civil Code of France.1997. Legal Literature Publishing House. www.twirpx.com/file/409022 (In Russian)
13. Civil Code of Portugal. www.twirpx.com/file/409022 (In Russian)
14. author – Maisuradze A., Vienna convention of 1980 on Contracts of the Interntaional sale-purchase of goods (enacted by the ordinance of the Parliament of Georgia of February 3, 1994), digital software – codex. (In Georgian)
15. Aleksidze L., 2001. Modern International Law, Tbilisi State Publishing House, Tbilisi, p. 98. (In Georgian)
16. Chanturia L., 2011. General Part of the Georgia Civil Law. Samartali Publishing Tbilisi, p. 290. (In Georgian)
17. Pokrovski I. A., 1998. Basic problems of civil law. International Relation Publishing Moscow, p.24. (In Georgian)
18. Delaume G., 1988. Lawand Practiceof Transnational Contracts oceana Publications, NEW YORK. p 120. (In English)
19. Amilakhvari Z., 2003. Basic in Business Law. Publishing House Inovatsia, Tbilisi, p. 5. (In Georgian)
20. Jolia G., 2008. Inernational Economic Relations of Georgia. Technical University Publishing House, Tbilisi, p.130. (In Georgian)

21. Cook A., 1923. Financing Export and Import. p. 32. (In English)
22. Commentary to the Legislation and Arbitration practice of Azerbaijan, 2000. Publishing House – Infra. M. p.196. (In Russian)
23. Source: http:www.geostat.ge (In Georgian)
24. Lindert P., 2011. International Economy. Publishing house – Novelty. Tbilisi, p. 65. (In Georgian)
25. Lindert P., 2011. International Economy. Publishing house – Novelty. Tbilisi, p. 12. (In Georgian)
26. Griffin R, Pusty M., 2006. International Business. Upper Saddle River, New Jersey, P. 167. (In Russian)
27. Strovski A., 1999. Foreign Trade Company. Progress Publishing, Moscow, p.58. (In Russian)
28. Meskhia I., 2011. International Trade. Tbilisi State Publishing,Tbilisi P. 40. (In Georgian)
29. Web page: http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement.2013 (In English)
30. Reducing European Dependence on Russian Gas, Oxford Institute for Energy studies, OlesNG 92, October 2014. (In English)
31. Jolia G., 2007. Inernational Economic Relations of Georgia. Technical University Publishing House, Tbilisi, p.65. (In Georgian)
32. Sergeev V. I., Grigorev M. N &Yvarov C. A., 2008.Logistics: Information Systems and Technology. Infra Publishing Moscow, p. 32 (In Russian)
33. Korganashvili L., 2003. Offshore Business. Tbilisi State Publishing, Tbilisi, p.138 (In Georgian)